




საქართველო ფურცელი

საქართველოს რევოლუციური დემოკრატიული რესპუბლიკის

გაზეთის № 194

დამატების № 35

კვირა, 25 იანვარი 1915 წ.



ფრ. კუპალია
ქაბ. 25. 1915

ვ ვ ვ ვ

საქართველოს რევოლუციური დემოკრატიული რესპუბლიკის

საქართველოს რევოლუციური დემოკრატიული რესპუბლიკის

განთავსებული იქნა მისი სურათი

ქართული
ლიტერატურა

მეცნიერება
ქვეყანა



ეკიმი აბრამ თეორაძე
ბრძოლის ველზე საოფლისაგან გარდაიცვალა



პოლდ. ვლადიმერ ახველიანი
(მოკლულია)



პოლდ. ბესარ. ჯალდასტანიშვილი
(კრილობებისაგან გარდაიცვალა)

შიო-გლვიის მონასტრისადმი

ო, მხარე, სადაც გრიგალი ღმუის,
რომ ქვეყანაზე ძმანი არ ჰყვანან,
და, გამომთქმელნი სოფლის სიცრუის,
კლდენი მარადეამ დაღრეჯით დგანან;
მხარე, სადაცა განისვენებენ
ძვლები შიო და ალექსანდრესი,
სადაც უვადო ხნით ხელმწიფებენ
ქმუნვა და ქარის ამონაკენესი,—
შენს მიდამოში მეცა ვიდოდი
იმ გრიგალივით უთანამგზავრო
და დამყურებდა გულის დამკოდი
ზესკნელი — ცოდვილ სულთა სამსჯავრო.

მწუხარებაში ღრმა და ხანგრძლივში
შემოგეკედლე ობლად მავალი
და ვისვენებდი, როგორც არხივში
დრომოკმული და მოშლილი ხმალი.
ვითარ სიწყნარით დიოდნენ დღენი
მუნ აღზნებული ბუხარის წინა!
მეგონა ტანჯვებს ჩამოვეხსენი,
მეგონა ვპოვე მუღმივი ბინა.
და მომალხენდა იქ მამა ისე
ტკბილ-მამობრივი ნუგეშებითა;
მეც საუკუნო ძმად შევეთვისე
მშვიდობიანი ლოცვების თქმითა...

მაგრამ ცხოვრებამ იქაც მიპოვნა,
კვალად აღმიძრა ცეცხლი და წყივა,
არ შეიწყნარა მუდარა, თხოვნა
და იქიდანაც გამომაძევა.
და მივალ, მხარე, სადაც დაყავი
დრო და დროებით მოვიკალ სევდა,
სადაც ცხოვრების ხმა გულსაკლავი
აღარ მესმოდა, აღარა მსდევდა.
მშვიდობით... უკან მე აღარ მოვალ,
ველარ მიხილავ ტკბილად მხსენებელს,
ვერც მოვისვენებ, ვიდრე არ შთავალ
სამარადეამო განსასვენებელს!

ი. მკედლიშვილი.



პოლდ. მიხეილ კურცხალია
(დაჭრილია)



პოლდორ. გ. ილაშვილი
(დაჭრილია)



პოლდორ. ნესტორ ლოლუა
(დაჭრილია)




პოლ. ალექსი თარალაშვილი
(დაჭრილია)



ქარკატიის მთები

ქარკატიის მთები




1. არადი. 2. ბალიგრაღი. 3. ბარტყელდი. 4. ბესკიდი. 5. ბოხნია. 6. ბრეესკო. 7. ბუდაპეშტი. 8. თეთრი კარპატი. 9. მდინ. ვისლა. 10. მდ. ვისლოკა. 11. აღმოს. კარპატი. 12. მაღალი ტატრი. 13. გალიჩი. 14. გრიბოვი. 15. გროდევი. 16. გუმენოვ. 17. დებრეჩინი. 18. მდ. დნესტრი. 19. მდ. დუნაი. 20. მდ. დუნაი. 21. დუკლა. 22. დუკლის უღელტეხილი. 23. მდ. ოქროს ბისტრიცა. 24. კეშმარკი. 25. კონენა. 26. კონენას უღელტეხილი. 27. კრაკოვი. 28. ტყის კარპატი. 29. ლგოვი. 30. მაგურა. 31. პატარა კარპატი. 32. მატრას მთა. 33. მეზო ლაბორჩ. 34. ნეიმორკტ. 35. ნოვი სანდეც. 36. მთა პიეტროს. 37. პერმიშლი. 38. მდ. პობრადი. 39. პოპ-ივანეს მთა. 40. პრესბურგი. 41. პრიაშევი. 42. სამბორი. 43. მდინ. სამობი. 44. სანოკი. 45. მდ. სანი. 46. სეგედინი. 47. მდ. სერეტი. 48. სტრი. 49. ტარნოვ. 50. ტისა. 51. ტიზმარკ. 51. თ. უჟოკ. 52. ხიროვი. 53. მდ. ჩერემოში. 54. ჩერმხინის უღელტეხილი. 55. შავი მთა. 56. იაბლუსკა. 57. იავორნიკ. 58. იასელის უღელტეხილი. 59. იაროსლავ. 60. იასლო.

ამონაკვანისი

ნუმცა მსმენია კივილი ლეჩაქ მოფხრეწილ დედისა,
 ნუმცა მინახავს დახოვეა მისის უმანკო მკერდისა,
 ნუმცა მსმენია სიმღერა ყელ გადადებულ გედისა,
 ნუმცა მინახავს ქართველთა ჭირის წინ მოხრა ქედისა!
 სად წავალ! ჩემი სამშობლო ამ ქვეყნის იქით სად არი?!
 აქა მყავს სატრფო გულისა, ჩემი სიცოცხლის სადარი,
 აქ არის ჩემი კრწანისი, ეროვნულ კუბოს სადარი,—
 უმისოდ ბნელიმც მექნება სხვისი მზე, სხვისთვის სადარი.
 გიხმობთ მთის არწივთ—სამს ძმათა—გაქას, ბაჩანას, თადოსა,
 ხმას მოგაწვდენდეთ მთისასა, საგმიროს, საიმედოსა,
 არვინ მიჰბაძოს ლაჩართა, გალაღვა არ გაბედოსა,
 თემმა არცხვინოხ ბეჩავი, თუ ვინმემ ითავებდოსა.

განდგეილი.



მერცხლით სნეული

„სიმდიდრე თუ გიყვარდა, რად დაემოწაფე სიღალხაკისა მოძღვარსა?“

1.

ჯერ ისევ ახლად იყო შეღამებული, სოფელ ყანებისანს კი ღრმად
 ეძინა. სისხამ დილაზე ამდგარი და მთელი დღის განმავლობაში შე-
 უწყვეტელი შრომით მოქანცული სოფელი ადრე იძინებს, მზის ჩას-
 ვლისთანვე, რომ განთიადს საქმეზე დამდგარი დაჰხვდეს დამკლავე-
 ბული: სოფლად დღე უზომო შრომისათვის დაუდვია დამბადებელს,
 ხოლო ღამე შესასვენებლად მოღლილის ღ მოუძღურებულ ხორცისა.

უფრო ადრე იძინებს სოფელი, როცა ბუნება მოწყენილია და
 გულჩათხრობილი, როცა მოქუშული ცა იცრემლება, ვარსკვლავები
 მიჰფარებიან განუჭკრეტელ ღრუბლებს, ხოლო მთვარეს პირი შეუ-
 ქცევია დედამიწისათვის, უარუყვია ის და განუწირავს.

ესეთი იყო ის დღე: ნესტიან-ჟინჯლიანი, დალტობილი, აჭიჭ-
 ყნილ-ატალახებული; გულზე სევდის დამხვევი და ხალხის წამრთმე-
 ვი. დააწყნარეს თუ არა ოთხფეხი საქონელი თუ ფრინველი, მაშინ-
 ვე ჩაწვენენ ნიათ გამოცლილები. ძაღლებიც კი აღარ გუშავებდნენ
 სოფელს: წვიმისაგან შეწუხებულნი შეჰფარებოდნენ საჩეხს თუ სა-
 თივებს და გარინდებულები პატრონებივით ხალხს გაწყვეტილნი,
 ბნელს გაჰხარებოდა თვისი ბატონობა, ძლევათილად გადაჰფარე-
 ბოდა სოფელს, ჩაჰკროდა, ჩემვანებინა და უჩინარ ექნა იგი. დრო
 ხელს უწყობდა შავის ბატონობას: მიწურულიყო შემოდგომა, დღე-
 ები გაღუულიყვნენ, მზე დაჰშორებოდა ქვეყანას, სითბო და სინათ-
 ლე მოეკლო მისთვის და გარესკენელ ძალთათვის მიეცა იგი სატან-
 ჯველად. ახ, ძლიერ შორს იყო ის დრო, როდესაც მნათობი სახიე-
 რი გულს მოიბრუნებდა ჩვენზე, შეგვიდობდა ცოდვათა ჩვენთა,
 ჩვენსკენვე იქმოდა თვის პირს სხივოსანს და განგვინათებდა ყოფას
 გატანჯულს.

ბნელოდა ყველგან, მხოლოდ სოფლის განაპირას გამოკრთოდა
 ფანჯრიდან ნათელი რამ ცრიატი, სიბნელისაგან ძლეული; მას უკვე
 ახლდა თვის არსებაში ბნელი: ირყეოდა იგი, ხან მთლად მიმქრალ-
 დებოდა, ხან ოდნე იმატებდა, ძალს იკრებდა და შემღვრეული სხი-
 ვებით ამოადა სცდილობდა განეჭვრიტა წყვედიადით შემოსილი არე-
 იგი ნათელი სრულებითაც არ იყო მხიარული, არც ნუგეშინის მცე-
 მელი: ოდნე და არღვევდა ციაგი წყვედიადის ერთიანობას და ძლე-
 ვამოსილობას; თვალი გრძნობდა, რომ ისიც მალე დაინთქმებოდა
 უწყვეტი სიბნელის საამოდ და გასახაროდა.

ის მღვრიე ნათელი, მბჟუტავი და ფერმიხილი, გამოსჭვივო-
 და მღვდლის ტიმოთეს სახლის ფანჯრიდან. ლამპრის შუქი ჩაებნე-
 ლებინა შიგნიდან სარკმლის ფარდას, ხოლო გარედან ხშირ ნისლს,
 რომელიც მძიმედ ჩამოსწოლოდა სოფელს და მიმოიძროდა შეტბო-
 რებულ-შენივებულნი.

2.

მღვდლის ბაღებს უკვე ეძინათ. იქითა ოთახში. თიფონ ტიმო-
თე და მისი ცოლი მაგიდას მისხდომოდნენ პატარა ოთახში და საქ-
მეში იყვნენ გართულნი. ქალი ბაღის ახალუხსა ჰკერავდა, კაცს
დავთარი გადაეშალა და ანგარიშობდა. მაგიდა მოფენილი იყო სხვა
და სხვა ტანის ბარათებით, რომელთ შორის ზოგი კიდევ შეყვით-
ლებულიყო დროთა მსვლელობაში. ახალუხის ამარა იჯდა, ქრელი
წინდებით ფეხზე. მცირედ ქალარა შერთული თმა აპბურდებოდა. სკო-
ლაში რომ სწავლობდა ტიმოთე, მაშინ ეს ჯალჯავით თმა მის სია-
მაყეს შეადგენდა და მშვენებას; ისეც მოხდენილ ბიჭს ყავლას აძლევ-
და ხუჭუჭი. ეხლა შუბლ ზეით მთლად შესხელებოდა, თმა, სიმე-
ლოტეს ფართე გზა გაეკვალა საქორჩესაკენ, ხოლო კეფაზე და
გვერდებზე, საფეთქლების მხარეს, ბეწვი მკვიდრავე იყო ჩარგული
და მარად წამს უშნოდ იბურდებოდა. ემტყუნა ამ სამკაულს კაცი-
სათვის და დაეუშნობინა იგი, თითქმის 'საშიში რამ იერი მიეცა
შისთვის. სახე კი ჯერ სრულებით არა ჰქონდა მოტეხილი და თვა-
ლების გამომეტყველობაც ისეც ჰაბუჭური შერჩენოდა, თუმცა ახალ-
გაზრდული გულბრწყვილობა და აღფრთოვანება აღარ გამოსჭვივო-
და მათში.

— საშას თუმნამდის არის ეხლა სოფელზე ჩემი ნისია. ნისია
კი არა ნამდვილი ნაღდი, რომელიც შემოდლიან დღესვე ავინაზღაუ-
რო კანონის ძალით. სწორედ ჩვენ გლებობაზე გამოჭრილი ხერხია!
იასაულით ნისიის აკრეფას, ესე შინაურულადა სჯობია საქმის მოგ-
ვარება.

— არა გაქვს ხელად და იმისთვის არ მადლევ განწესებას? კე-
თილი! ბოროტი მევალე ხომ არა ვარ, რომ ყელში წაგიჭირო. დარ-
ჩეს შენზე, სანამ შესძლებდე.

— ჰო, შენი ჰირიმე! მადროვე და როცა, ღვთით, წელში გა-
ვიშარებები, მიიღე თუნდ სარგებლით.

— არა, ჩემო პეტრე, მე შენი სარგებელი არ მინდა; მხოლოდ
პატარა ბარათი მომეცი, რომ გმართებს ჩემი: ხომ იცი, ფულმა და-
ვიწყება იცის. ესეც არ იყოს, ყველანი სიკვდილის შვილნი ვართ და
არავინ იცის, დღეს რა მოაქვს, ან ღამეს.

— კარგი, შენი ჰირიმე, დაწერე ბარათი.

— წავიდეთ და ჩვენი მწერალი დაგვიწერს, ხელსაც თითონვე
შოაწერს შენ მაგივრად; შენ ხომ მაინც წერა არ იცი.

— წავიდეთ, შენი ჰირიმე! აბა ვინ მასწავლიდა ხელის მოწე-
რას.

— ამ გვარად შეგროვდა ეს ბარათები ჩემს ხელში. ზოგი ამ
შებრალო ბარათთაგანი ნამდვილ თამასუქადაც იქცა ეხლა, კანონიე-
რად დაწერილ საბუთად. აი კაკალანთ ივანეზე თორმეტი თუმანია
თამასუქით, ბასილანთ სულხანაზე რვა თუმანი, ახლა სხვაზედაც მე-
ტი თუ ნაკლები. დღესვე შემოდლიან აღმასრულებელი ფურცლები
ავიღო და გაეინაღო; შემოდლიან გავყიდო კიდევ ეს თამასუქები.
ესე სჯობია: ჩემსასაც არა ვკარგავ, ხალხსაც თითქო ხათრს ვუწევ
და მთელი სოფელი ხელში მიჭირავს მტკიცედ. ეხლა უნებლიედ უნ-
და შეფერწენ ჩემი მოვალეები. აბა ერთი კრინტი დასძრან ჩემ წი-
ნააღმდეგ, ან არ შემისრულონ რაიმე სურვილი და მაშინ ნახავენ
თავიანთ ყოფას, ფიქრობდა ხუცესი და თან ბარათებს აწყობდა
და ჰკონავდა.

ქალს მოეწყინა კერვა, დაამთქნარა, გადადო ხელსაქმე, გაის-
წორა ჩამოშლილი თავზე მოსახვევი და რხევით გასწია მეორე ოთა-
ხისკენ. ქმარმა თვალი გააყოლა ცოლს, ჩაიტკაცუნა გადაქობილი
თითები და ისეც ქალადებს ჩააკვირდა.

— ხუთიოდე წელიწადი რომ კიდევ მოგტრიალდე აქ, მთელი
სოფელი ჩემი ყურმოჭრილი ყმა შეიქმნება. კარგა წაღლის შეგრო-
ვებას შეესძლებ. მაშ რა ვქნა? ეხლანდელ დროში თუ ფული არ გი-
ჭირამს ხელში, შენი არც ჰკუა გასჭრის, არც პატიოსნება და არც
საპატიო თანამდებობა. შემდეგში შეესძლებ სახლ-კარიც ვიყიდო ქა-
ლაქში. ბოლოს ხომ მაინც ქალაქში უნდა გადავიდე. რატომ?! ჩემზე
ჰკვიანები სხედან იქ მღვდლებად თუ ჩემზე განათლებულები? რამ-
დენია იქ ისეთი, რომ სწავლა არ დაუსრულებია ან თუ დაუსრუ-
ლებია, ისიც ვაივალახით. გადავალ ქალაქს და მაშინ უფრო ადვი-
ლად შევიძინე ქონებას და შევსძლებ ისე მოვაწყო ჩემი ცხოვრება,
როგორც შეეფერება განვითარებულ ადამიანს, — განაგრძობდა ფიქრს
ხუცესი და თან ხელის ყუთში წყობისად ალაგებდა ბარათებს.

ძილი მოერია. თვალების სრესა დაიწყო. ძილს-ძილი მოაქვს:
დღეს მრევლში არავითარი საქმე არ გამოუჩნდა, ისე გასეირნებაც
არ შეიძლებოდა ავღრის გამო და ეძინა კაცს სადილ წინადაც, სა-

დილთ უკანაც; რულმა ეხლაც წაართვა თავი და თბილ...
კენ დაჰხარა მისი დაცნება. ნესტიც კი იყო სახლში, მაგინდის...
ჯდომის ჩაწოლა ეჯობინებოდა და განსვენება. ჩაკეტა ყუთი, ჩადგ
განჯინაში და გავიდა დასაძინებლად.

3.

რბილი ლოგინი სამოდ გაშლილიყო ვეება ტახტზე და იწვევ
და ვაჟკაცს საფუფუნებლად. ყუთიუკის ბალიში გულგაშლით ელოდ-
და პატრონს. ფართე საბნის ერთი მხარე თავისუფლად იყო გად-
მოშლილი, ხოლო მეორე ნახევარში გახვეულიყო მღვდლის ჯალაბი
და ტკბილად ეძინა. ფუფუნა ქალის ბადრი სახე სითბოს წითლად
შეეღვივებინა. მძიმე თეთრი მკლავი მეორე ბალიშზე გადმოედო
ქალს და იზიდავდა ვაჟკაცს ტკბილ განსვენებისადმი. ხუცესი ნღო-
მით დააშტერდა მძინარეს, მერე გაიხადა ტანთ და ასწია საბნის
ყური რომ შეწოლილიყო, მაგრამ ამ დროს ყურთ გაისმა ძაღლის
ყმუილი. შესდგა მღვდელი უძრავად, გაშეშდა. ძაღლმა უფრო შეა-
მაღლა ხმა და ღრინვა ყუფად გარდაჰქმნა, მოისმა ძახილი:

— მღვდელიო! ჰაა მღვდელიო!

მამა ტიმოთემ პირჯვარი გადისახა უნებლიეთ და წარმოხ-
თქვა:

— ნეტა ვინ უნდა იყოს ამ დროს?

ძაღლის ყეფა გახშირდა, აღმასა გამწარებული ეტანებოდა ვი-
ლაცას. მოსულმა მიიღწია კარებს და ჯოხი წაატაკა, რომ მალე გაე-
გებინებინა სახლის პატრონისათვის ძახილი. მღვდელი ერთს წამს
შეკრთა.

— ბნელი ღამე ავაზაკებისთვის არის ქმნილი, ხოლო ცოცხად
კაცს მტერი არ დაეღევა, გაიფიქრა იმან და გასძახა დაკეტილი კა-
რებიდან.

— ვინა ხარ, კაცო, ან ამ დროს რა საქმე გაგჩენია?

— სესია ვარ, მამაო, ნაჩხატანთ სესია, გამომხედე მამაშვი-
ლობას!

— რა ამბავია, კაცო, რა გაგჭირებია ამ უდროვო დროს?

— ი ჩვენი ბერიკაცი კვდება, სულს აძლევს; ეგებ მოასწრო
ზიარება.

— რა დროს ზიარებაა, შე მამაცხონებულო, ამ შუალამისას და
ასანძხში? არ იქნა, ვერ ჩავაგონეთ, თავის დროზე დამიძახოთ წე-
სის ასასრულებლად. სულ გეუბნებით, დღისით შემატყობინეთ მე-
ტი. სწორედ სირეგვნა თქვენი და გაუგებრობა. ან რაღა ზიარება
უნდა, ამ ზაფხულს არ ვაზიარე მარამომბას.

— რა ვქნა, მამაო, ეხლა შეწუხდა ი საწყალი და მეც გამო-
ვეშურე. ჰარიქა, გეთაყვა, გაისარჯე: უზიარებელი არ მოკვდეს ი ბე-
რიკაცი.

მღვდელი გამოტრიალდა ბურტყუნით; ძაღლი კი ღვეღვებდა
და ეტანებოდა მოსულს. ხმაურობაზე გამოეღვიძა მღვდლის ჯალაბ-
საც. სწრაფად ჩაიცვა ქვედა ტანი, წამოისხა შალი და წაყო ტი-
ველა ფეხი ჩუსტებში.

— რა იყო, რა ამბავია, კაცო?

— ღმერთმა რომ არ იცის ამ რეტეების თავი და ტანი! ნაჩ-
ხატანთ ბიჭია, ბერიკაცი შეგვიწუხდა და აზიარეო. მეტი გზა არ
არის, უნდა წავიდე ამ საძაველ ღამეში. კაცს არ მოასვენებენ. ახლა
მწირველიცა ვარ ხვალ: შვილია შემოკვეთილი და არ უწირო, ძნე-
ლი იქნება.

— უნდა წახვიდე, ადამიანო, მა რას იზამ: უზიარებელს ხომ
არ მოჰკლავ საწყალ კაცს.

— უნდა წახვიდე! დააჯავრა ქმარმა. აბა ერთი შენ წადი ამ
უკუნ ღამეში. თანაც უსარგებლოდ უნდა ვტოპო: ზიარებაში ხომ
არაფერს იძლევიან. მომიტა ერთი სანაწილე!

მღვდელმა ჩამოართვა ცოლს სანაწილე და ოლარი, დაიკვარათა
ანაფორა, აიღო არგანი და გაემართა.

— ჩაკეტე კარი! ვინძლო ეხლავე შენებურად დაიძინო და
დროზე არ გამიღო კარები, უკმეხად მიაძახა ქალს მიმავალმა.

— ქალმა ხმა აღარ გასცა ქმარს, შემოტრიალდა და ჩარაზა
კარი. უნდოდა ისეც ჩაწოლილიყო ლოგინში, რადგან ნათბილარს
სიომ დაჰკრა და გააჟოჯოლა, მაგრამ შეეფიქრა, ვაი თუ მღვდლის
დაბრუნებამდის ჩამეძინოსო, და ჩამოჯდა ბუხრის წინ.

(შემდეგი იქნება).

3. ბარნოვი